



საქმე №18/765-17

გ ა ნ ა ჩ ე ნ ი
საქართველოს სახელით

19 ოქტომბერი, 2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:
თავმჯდომარე: გერონტი კახეთელიძე
მოსამართლეები: კახაბერ მაჭავარიანი
მაია თეთრაული

ნანა უნდილაშვილის მდივნობით,

სახელმწიფო ბრალმდებლის: ზურაბ წერეთლის
მსჯავრდებულის ადვოკატის: ქ. გ.-ს

მონაწილეობით,

მსჯავრდებულ: რ. მ.-ს (მონაწილეობის გარეშე)

ღია სასამართლო სხდომაზე, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორ ზურაბ წერეთლის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, განიხილა სისხლის სამართლის საქმე (გამოძიების №XXXXXXXXXXXXX): რ. მ.-ს, დაბადებულის 1960 წლის 12 თებერვალს, საქართველოს მოქალაქის, მცხოვრების: ქ.-ს რ.-ს ს. დ.-ში, მიმართ, დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 17, 105-ე მუხლით (1961 წლის რედაქცია).

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ – ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საბრალდებო დასკვნის თანახმად, რ. მ.-მა ჩაიდინა განზრახ მკვლელობა.
აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

რ. მ. 1994 წლის 29 მარტს, დაახლოებით ღამის 23:00 საათზე, იმყოფებოდა ქ.-ს რ.-ს ს. დ.-ს შესასვლელთან დისლოცირებულ №X სამშვიდობო ძალების ბატალიონის პირველი ასეულის მე-X ოცეულის დისლოცირების ადგილზე, სადაც საგუშაგოზე მე-X ოცეულის მეთაურ ე. ბ.-ს მითითებით, გააჩერეს ქ.-ს რ.-ს ს. ა.-ში მცხოვრები ვ. ო.-ს-მე ს.-ს მსუბუქი ავტომანქანა, ვაზ 21-06, სახ №XX-XX XX. როგორც ე. ბ., ისე რ. მ. იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში. სავარაუდოდ

ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვ. ს.-ც. მათ შორის მოხდა ურთიერთშელაპარაკება, რაც გადაიზარდა უცენზურო სიტყვებით ლანძღვაში, რა დროსაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა რ. მ.-მ, განზრახ მოკვლის მიზნით, თანნაქონი აკმ-ს სისტემის იარაღიდან ესროლა ვ. ს.-ს, რომელიც დაჭრა. დაჭრილი ვ. ს. მიყვანილი იქნა ქარელის რაიონის საავადმყოფოში, სადაც იმავე ღამეს გარდაიცვალა, ხოლო დანაშაულის ჩამდენმა რ. მ.-მ გაიტაცა დანაშაულის ჩადენის იარაღი და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რ. მ.-მ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

რ. მ. 1994 წლის 29 მარტს, დაახლოებით ღამის 23:00, იმყოფებოდა ქ.-ს რ.-ს ს. დ.-ს შესასვლელთან დისლოცირებულ №X სამშვიდობო ძალების ბატალიონის პირველი ასეულის მე-X ოცეულის დისლოცირების ადგილზე, სადაც საგუშაგოზე მე-X ოცეულის მეთაურ ე. ბ.-ს მითითებით გააჩერეს ქ.-ს რ.-ს ს. ა.-ში მცხოვრები ვ. ო.-ს-მე ს.-ს მართვის ქვეშე მყოფი მსუბუქი ავტომანქანა, ვაზ 21-06 სახ. №XX-XX XX. როგორც ე. ბ., ისე რ. მ. იყვნენ ნასვამ მდგომარეობაში. სავარაუდოდ ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა ვ. ს.-ც. მათ შორის მოხდა რა ურთიერთშელაპარაკება, რაც გადაიზარდა უცენზურო სიტყვებით ლანძღვაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა რ. მ.-მ, განზრახ მოკვლის მიზნით თანნაქონი აკმ-ს სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ვ. ს.-ს და დაჭრა. დაჭრილი ვ. ს. მიყვანილი იქნა ქ.-ს რ.-ს საავადმყოფოში, სადაც იმავე ღამეს გარდაიცვალა. რ. მ. კი თანნაქონ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად მიიძალა შემთხვევის ადგილიდან.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განაჩენით:

რ. მ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17,105-ე მუხლით (1961 წლის რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე, გაუნახევრდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით.

აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა რ. მ.-ს მიმართ, გაუქმდა.

ვინაიდან განსასჯელმა რ. მ.-მ თავი აარიდა სასამართლოში გამოცხადებას, პირველი ინსტანციის სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის 443-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქმე რ. მ.-ს მიმართ, განიხილა მის დაუსწრებლად.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორმა ზურაბ წერეთელმა.

წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ბრალდების მხარე ითხოვს რ. მ.-ს მიმართ გამოტანილი ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განაჩენში ცვლილების შეტანას, რ. მ.-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 105-ე მუხლით (1961 წლის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და 12 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას, „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის

მე-16 მუხლის საფუძველზე, დანიშნული სასჯელი შემცირებას ერთი მეოთხედით და რ. მ.-სათვის 9 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, გაეცნო სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ რ. მ.-ს მიმართ, უნდა დარჩეს უცვლელი, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ შეამოწმა გასაჩივრებული განაჩენი და მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ყოველმხრივ და ობიექტურად შემოწმდა საქმეზე შეკრებილი და წარმოდგენილი მტკიცებულებები, ანალიზი გაუკეთდა მათ, მოხდა მათი ერთმანეთთან შეჯერება. განაჩენში ჩამოყალიბებული სასამართლო დასკვნები შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. სასამართლოს მიერ დადგენილია ყველა ფაქტობრივი გარემოება, რაც საჭიროა დასაბუთებული, კანონიერი და სამართლიანი განაჩენის გამოსატანად. მსჯავრდებულ რ. მ.-ს დანაშაულებრივ ქმედებას მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, იურიდიული კვალიფიკაცია სწორად არის დადგენილი.

საქმეში არსებული, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებების, კერძოდ, დაზარალებულის უფლებამონაცვლის და მოწმეების - ა. ს.-ს, ი. ს.-ს, ვ. ჯ.-ს, ვ. მ.-ს, ზ.ჩ.-ს, ა. ლ.-ს ჩვენებების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებათა შეფასების და გაანალიზების შემდგომ პალატას დადგენილად მიაჩნია განაჩენში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში სახელმწიფო ბრალმდებელი აღნიშნავს, რომ საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებენ რ. მ.-ს მიერ ვ. ს.-ს მკვლელობას. აპელანტის განცხადებით, სწორედ რ. მ.-ს ქმედებამ, - ავტომატის სროლამ გამოიწვია ვ. ს.-ს სიკვდილი და რ. მ.-ს ქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან - ვ. ს.-ს გარდაცვალებასთან. სააპელაციო პალატა არ ეთანხმება სახელმწიფო ბრალმდებლის არგუმენტაციას და აცხადებს, რომ ზემოთმითითებული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ რ. მ.-ს განზრახული ჰქონდა ვ. ს.-ს მკვლელობა და მისი ქმედება უშუალოდ მიმართული იყო ხსენებული დანაშაულის ჩასადენად. კერძოდ, რ. მ.-მ აწარმოა ცეცხლი ვ. ს.-ს თანაქონი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა ჯერით, მისი აღნიშნული ქმედებიდან გამომდინარე, ინტელექტუალური თვალსაზრისით შესაძლო შედეგს (დაზარალებულის სიკვდილს) იგი უცილობლად ითვალისწინებდა, ამასთან, სურდა ამ შედეგის დადგომა. სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მსჯავრდებულის ქმედებაში სახეზეა განზრახ მკვლელობის მცდელობა პირდაპირი განზრახვით, რა დროსაც მსჯავრდებულს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მისი მოქმედების შესაძლო შედეგს - დაზარალებულის სიკვდილს და სურდა ეს შედეგი. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატა უდავოდ დადასტურებულად ვერ მიიჩნევს, რომ სწორედ რ. მ.-ს მიერ განხორციელებულ

ქმედებას (მის მიერ დაზარალებულისათვის იარაღის ჯერით სროლას) მიზეზობრივი კავშირი აქვს დამდგარ შედეგთან (დაზარალებულის გარდაცვალებასთან). სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ განზრახ მკვლელობის, როგორც დამთავრებული დანაშაულის სავალდებულო ობიექტურ ნიშანს წარმოადგენს შედეგის დადგომა სიკვდილის სახით და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მოცემულ შემთხვევაში, იმის გამო, რომ გამოძიების ეტაპზე გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს გვამის გაკვეთაზე, ვერ იქნა ჩატარებული სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, შესაბამისად, საქმეში არ მოიპოვება ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც უტყუარად დადგინდებოდა ვ. ს.-ს სიკვდილის გამომწვევი უშუალო მიზეზი, მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში რ. მ.-ს ბრალად ვერ შეერაცხება დამთავრებული დანაშაულის - განზრახ მკვლელობის ჩადენა და მისი ქმედება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სავსებით სამართლიანად დაკვალიფიცირდა განზრახ მკვლელობის მცდელობად, ვინაიდან, როგორც უკვე აღინიშნა, მისი ქმედება უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად და ბრალდებულს სუბიექტურად სურდა შედეგის დადგომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივად და ობიექტურად შეამოწმა რა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი უტყუარობის, ასევე რ. მ.-ს დამნაშავედ ცნობისთვის საკმარისობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ადასტურებს, რომ რ. მ.-მა ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 17,105-ე მუხლით (1961 წლის რედაქცია).

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულისათვის დანიშნულ სასჯელს, აღნიშნულს პალატა სამართლიანად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს სრულად გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ისე დაუნიშნა სასჯელი, რაც პალატის დასკვნით არ არის უსამართლო. პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ რ. მ.-თვის დანიშნული სასჯელი მის მიერ ჩადენილი ქმედების პროპორციულია, რათა მსჯავრდებულმა გააცნობიეროს ჩადენილი ქმედება, გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მოახდინოს საკუთარი თავის რეაბილიტაცია. სააპელაციო პალატა ასევე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ რ. მ. მიიშალა და იგი დღემდე იმყოფება ძებნაში. პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედებით ნათლად გამოიკვეთა მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროება, რ. მ.-ს მხრიდან მართლწესრიგის ნორმების განსაკუთრებული უპატივცემულობა და უგულვებელყოფა.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, უნდა გაუნახევრდეს დანიშნული სასჯელი ადრე განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლობის არმქონე პირს, რომელმაც ჩაიდინა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადება ან/და მცდელობა. მოცემულ შემთხვევაში რ. მ.-ს მსჯავრი დაედო 1994 წლის 29 მარტს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისათვის – განზრახ მკვლელობის მცდელობისათვის. ამდენად, რ. მ.-თვის დანიშნულ სასჯელზე უნდა გავრცელდეს ზემოხსენებული „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012

წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნა და რ. მ.-ს დანიშნული სასჯელი უნდა გაუნახევრდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ ბრალდების მხარის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ რ. მ.-ს მიმართ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისა და დანიშნული სასჯელის სახისა და ზომის ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 503-ე მუხლით, 535-ე მუხლით, 536-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, „ამნისტიის შესახებ“ 2012 წლის 28 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-7 მუხლით, –

დ ა ა დ გ ი ნ ა:

შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურის პროკურორ ზურაბ წერეთლის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ითქვას უარი;

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ რ. მ.-ს მიმართ, დარჩეს უცვლელი;

რ. მ. ცნობილ იქნას დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17,105-ე მუხლით (1961 წლის რედაქციით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 9 (ცხრა) წლის ვადით, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე, გაუნახევრდეს და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 4 (ოთხი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით;

ცნობად იქნას მიღებული, რომ რ. მ.-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა, გაუქმებულია;

სასჯელის მოხდის ვადის ათვლა მსჯავრდებულ რ. მ.-ს დაეწყოს განაჩენის აღსრულების მიზნით მისი დაკავების მომენტიდან;

განაჩენი კანონიერ ძალაშია გამოცხადებისთანავე და ექვემდებარება აღსრულებას;

განაჩენი შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში (მდებარე ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების ქ. №32ა), მისი გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით;

განაჩენი მსჯავრდებულის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო წესით საქართველოს უზენაეს სასამართლოში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის

საქმეთა პალატის მეშვეობით, ერთი თვის ვადაში: დაპატიმრებიდან ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან; ან სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოცხადებიდან, თუ მსჯავრდებული ითხოვს საკასაციო საჩივრის განხილვას მისი მონაწილეობის გარეშე.

თავმჯდომარე:

გ. კახეთელიძე

მოსამართლეები:

კ. მაჭავარიანი

მ. თეთრაული